ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია

ინოვაციური ეკონომიკა და

მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

2016 წლის 1-2 ივლისი

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი – ჯანდაცვის ინოვაციური მექანიზმი

თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის
ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ ინერგება ჯანდაცვის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების ინოვაციური მექანიზმები. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტუალურია ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის მსოფლიო გამოცდილება. გასათვალისწინებელია, რომ ბევრ ქვეყნებში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმებია გავრცელებული. ამისგან განსხვავებით, საქართველოში მხოლოდ ორი ტიპის სამედიცინო დაწესებულებებია წარმოდგენილი: მომგებიანი (კომერციული) ორგანიზაციები და სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის, როგორც ინოვაციური მექანიზმის, საქართველოში დანერგვის აქტუალურობა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ იგი ხარჯების შეკავების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. აღნიშნული კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, სადაც სახეზეა ჯანდაცვის სექტორის არასაკმარისი დაფინანსება. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების ეკონომიკური ეფექტურობა უმთავრესად ძალიან დაბალია.